პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ა. კ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ. აღმ. სახ. ცეკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, [illegible] — მთავარი კანტორა: [illegible]

[illegible] ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

[illegible] 100.000 მ. [illegible] პუბლიკებში 625 მ. 1922 წ. [illegible] განცხადება —10 [illegible] 300 [illegible]

№ 262 — ოთხშაბათი, 15 ნოემბერი 1922 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5,000 მან. — № 262

## დღიური

[illegible]

## აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოების ყველა ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

1922 წლის 12 მარტს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა მასების ნებაყოფლობით ამ რესპუბლიკებმა დასდეს ურთიერთ შორის ფედერატიული კავშირი და დაარსეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა საკავშირო საბჭოს სახით. ამიერ კავკასიის ფედერაციამ რვა თვის არსებობით დაამტკიცა არა მარტო სიცოცხლის უნარიანობა, არამედ მისწრაფებაც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე კავშირისაკენ და ამიერ კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ძმური გაერთიანებისაკენ. იღებენ რა ამას მხედველობაში, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები 10 დეკემბერს იწვევენ ქალ. ბაქოში საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობას ყველა რესპუბლიკების საბჭოების სამაზრო ყრილობათა უშუალო წარმომადგენლობის საფუძვლებზე, ამასთანავე ნახიჩევანს, აჭარას და სამხრეთოსეთის ოლქს შეუძლიათ წარგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები უშუალოდ რესპუბლიკების და საოლქო საბჭოების ყრილობიდან.

საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: **ერთი დელეგატი ყოველ 3000 ამომრჩეველზე** ქალ. ბაქოში, თფილისში, ერევანში, ბათუმში, სოხუმში, ალექსანდროპოლში, განჯაში, ქუთაისში და ფოთში და ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ ადგილებიდან **ერთი დელეგატი ყოველ 15.000 მცხოვრებზე.**

**ყრილობის დღის წესრიგი:**

1) დებულება საბჭოთა ფედერაციის შესახებ.
2) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.
3) საკავშირო საბჭოს ანგარიში.
4) ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია.
5) სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობაზე დელეგატების არჩევა.
6) ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმას. კომიტეტის არჩევნები და
7) მიმდინარე საქმეები.

ყრილობაზე დელეგატების არჩევნების ჩასატარებლად და ყრილობის მოსაწყობად შედგენილია საორგანიზაციო კომისია ამხ. **შ. ელიავას, გ. ამბარცუმიანის, ხანბუდაგოვის, იაკუბოვის** და **ა. გეგეჭკორის** შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიმართონ არჩევნების და ყრილობის შესახებ ყოველგვარ ცნობების მისაღებად; საორგანიზაციო კომისია მოთავსებულია ქ. თბილისში, სასახლე, საკავშირო საბჭო.

**აზერბეიჯანის** საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე— **აგამალი ოღლი.**

**სომხეთის** ცენტრ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე—**ს. ამბარცუმიანი.**

**საქართველოს** ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე— **ფ. მახარაძე.**

## რაპალო და მენშევიკები

ცხრა ამა ნოემბერს ბერლინში ხელი მოაწერეს აქტს, რომლის მიხედვით რაპალოს ხელშეკრულება ვრცელდება საბჭოთა რუსეთის ყველა მოკავშირე რესპუბლიკებზე. ამ რესპუბლიკათა რიცხვში შედის საქართველოც და, მაშასადამე, აღნიშნული ხელშეკრულება ვრცელდება ჩვენს ქვეყანაზედაც.

ეს უეჭველად დიდი გამარჯვებაა საბჭოთა ფედერაციის, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის, რომელიც მოძმე სახელმწიფოებთან ერთად, ოფიციალურად შედის გერმანიის დიდ სახელმწიფოსთან გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებაში. ამ აქტს საგრძნობი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, რომლის საერთაშორისო წონა ამით, მთელ საბჭოთა ფედერაციასთან ერთად, იზრდება და რომელსაც მეტი პერსპექტივები ეშლება სამეურნეო აღორძინებისათვის.

ყველა, ვინც გულწრფელად მოსურნეა ჩვენი რესპუბლიკის და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცების, სიხარულით შეხვდება ხსენებულ აქტს.

მაგრამ არიან ელემენტები, რომელთათვის სრულებით არ არი სახეირო ჩვენი გამარჯვება, რომელთაც ლახვარივით ესობათ გულში საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა რესპუბლიკის განმტკიცების მაჩვენებელი ყოველი ფაქტი. ჩვენ მხედველობაში გვყავს ბატონი მენშევიკები და მათთან მყოფნი. საქართველოს მშრომელმა ხალხმა, რომელმაც საკმაო სიუხვით იგემა მათი ბატონობა, ბოლოს გამოგლიჯა ამ მოღალატეებს ხელიდან ძალა უფლება, თვითონ ჩაუდგა ის ქვეყანას სათავეში და გარიყა ისინი საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზიდან. ამის შემდეგ მენშევიკების ნაწილმა, მეტ წილად მათმა „გენერლებმა" თავი შეაფარეს დასავლეთის იმპერიალიზმის კალთებს, იმ იმპერიალიზმის, რომლის აგენტობას ისინი გულმოდგინეთ ეწეოდნენ საქართველოში სამი წლის განმავლობაში. ნაწილი კიდევ დარჩა აქ და განაგრძობდა და დღესაც განაგრძობს თავის „საგმირო" საქმეებს. თუ როგორ შეირცხვინეს მათ თავი აქ თავისი „მოღვაწეობით", ეს ყველამ იცის. მშრომელი მასსა სავსებით გამოერკვა მათი მოღალატეობრივ მოქმედებაში და სამუდამოდ შეაქცია ზურგი. სხვა მრავალ ფაქტებ შორის ამის საუკეთესო დამამტკიცებელია განვლილი 7 ნოემბრის დღესასწაული, როცა მენშევიკებს მუშათა რიგებიდან არავინ აღმოაჩნდა მოკავშირე, როცა მშრომელმა მასსამ ერთსულოვანი და საზეიმო დემონსტრაციით სრული ნდობა და სოლიდარობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, ოქტომბრის რევოლიუციის მებაირაღტრეს და დამცველს.

რაც შეეხება საზღვარ-გარედ გახიზნულ მენშევიკებს, მათთვის არა ნაკლებ სკანდალურია და სასირცხვილო მათი „მოღვაწეობა" კაპიტალიზმის სამეფოებში. მათ დღემდე მოაქვთ თავი ქართველი ხალხის „კანონიერ წარმომადგენლებათ", მისი სახელით კარდა-კარ დაიარებიან და მოწყალებას თხოვენ ევროპის მესვეურებს ქართველი ხალხის „ხსნის" შესახებ ბოლშევიკებისაგან, ე. ი. თავისი ძველებური ბატონობის აღდგენის შესახებ. ყველამ იცის, რომ მენშევიკებმა მოიწადინეს ამ მიზნით, სხვათა შორის, გენუის კონფერენციის გამოყენება. ამ კონფერენციაზე მსოფლიოში ყველაზე უფრო რეაქციონური და დაჩაგრულ ხალხების სულთამხუთავი საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი მოგვევლინა საქართველოს უფლებების „ქომაგად". ცხადია რომ საფრანგეთმა ეს ჩაიდინა არა ჩვენი ქვეყნის სიყვარულით, არამედ მან მოიწადინა თვით მენშევიკების გამოყენება საბჭოთა ფედერაციის გასაშავებლად და მისი პოზიციის შესასუსტებლად. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ როგორც მენშევიკების, ისე დასავლეთის იმპერიალიზმის შავი განზრახვა სასტიკად დამარცხდა.

მენშევიკებს ამის შემდეგაც არ დაუყრიათ თავისი დაჟანგებული ფარხმალი და ისინი შემთხვევას არ უშვებენ, სადაც ხმა მიუწვდებათ, ალაპარაკდნენ საქართველოს სახელით. აი ეხლაც, რაპალოს ხელშეკრულების ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე გავრცელების შესახებ მოლაპარაკების დროს, მათ არ მოაკლეს თავისი „მზრუნველობა" ჩვენს ქვეყანას. როგორც უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანიის კაბინეტის „სოციალისტური" წევრები, რუს მენშევიკების მოთხოვნით წინააღმდეგნი იყვნენ რაპალოს ხელშეკრულების გავრცელებისა საქართველოზე. ცხადია რუს მენშევიკების და შეიდემანელების ზურგს უკან ამ შემთხვევაში მოქმედებდნენ ჩვენი მენშევიკები. სული სულს იცნობს, და ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ შეიდემანელები დახმარების ხელს უწვდიან თავის იდეიურ მოძმეებს. ორივენი, როგორც შეიდემანელები, ისე ქართველი მენშევიკები ერთ საქმეს ემსახურებიან, ესაა საბჭოთა რესპუბლიკების დასუსტება და თუ შეიძლება, სრული დამხობაც. გერმანელი მენშევიკები არ დაგიდევენ იმას რომ გერმანიის და საბჭოთა ფედერაციის დაახლოვება შეადგენს თვით გერმანიის მშრომელ მასსის კლასობრივ და ნაციონალურ ინტერესს. ესინი თავის ბუნებას ვერ უღალატებენ და მზად არიან, როგორც ყოველთვის, ლახვარი ჩასცენ საბჭოთა რესპუბლიკებს, თუნდაც ეს საზიანო იყოს გერმანიის ინტერესებისათვის. რაც შეეხება ჩვენებურ მენშევიკებს, იმათ ხომ ბევრი ხანია ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები მიყიდეს მსოფლიო ბურჟუაზიას და ფიქრობენ მით, ოღონდ რამეფრად დაიბრუნონ დაკარგული ბატონობა. მაგრამ აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევებშიაც, მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: რაპალოს ხელშეკრულება უკვე გავრცელებულია საქართველოზედაც და ეს გარემოება ამ-[illegible]

## ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესისათვის

I

მსგავსათ უფროს მუშებისა, ახალგაზრდა მუშებსაც აქვთ თავისი ორგანიზაციები, კავშირები. მსგავსად უფროს კომუნისტური თაობისა ახალგაზრდა კომუნისტურ თაობასაც აქვს თავისი ინტერნაციონალი, ანუ საერთაშორისო გაერთიანება ყველა ქვეყნის ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციებისა. ამგვარად არსებობს საერთაშორისო პროლეტარიატის შტაბი—კომუნისტური ინტერნაციონალი და ახალგაზრდათა კომინტერნი. 20 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესი. მის დღის წესრიგში დასმული კითხვები დიდი მნიშვნელობის არის და მათი გაცნობა ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს, ვისაც კი სურს გაიგოს პროლეტარული ახალგაზრდობის თანამედროვე ბრძოლა კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ და ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს პროლეტარულ ინტერნაციონალისა და ოპორტუნისტულ ახალგაზრდობის მე 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს შორის. მაგრამ სანამდის ამას შევეხებოდეთ ცოტათი დავიხედოთ უკან და მოკლეთ აღვნიშნავთ ახალგაზრდათა კომინტერნის წარმოშობის, ბრძოლის და არსებობის ისტორიას.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი იმ ფორმით, რომლითაც ის დღეს არსებობს, სულ რამოდენიმე წელიწადია რაც წარმოიშვა. ის არის ნაყოფი იმ ბრძოლის, რომელიც რამოდენიმე ათეული წელი არსებობდა ახალგაზრდათა მოძრაობაში. ის აუცილებელი შედეგი შეიქნა ძალთა იმ განწყობილობის, რომელიც კარგა ხანია ახასიათებდა სოციალისტური ახალგაზრდობის მოძრაობას.

გასული საუკუნის მე 80 წლებიდან ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ფეხს იკიდებს მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობა. 1848 წლის რევოლიუციების დამარცხებით დამკვიდრებულ საშინელ რეაქციის შემდეგ, მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობა კვლავ იღვიძებს და უკვე ხსენებულ საუკუნის მე 90 წლებისთვის, განსაკუთრებით ცენტრალური ევროპა და სკანდინავია—იფარება პროლეტარული ახალგაზრდობის ორგანიზაციების ქსელით. ახალგაზრდობის მოძრაობა, მისი ორგანიზაციების არსებობა თავიდანვე ნარ ეკლიანი გზით ვითარდებოდა. მას მოუხდა ხანგრძლივი ბრძოლა, რათა ის გარკვეულ ხაზზე დამდგარიყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოფიციალური სოციალ-დემოკრატია დიდ-ხანს რაღაც უნდობლობის თვალით უცქერდა ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, კიდევ მეტი. გერმანიაში და საფრანგეთში სოციალ დემოკრატიული პარტიები და პროფესიონალური კავშირები მოითხოვდენ ახალგაზრდათა ორგანიზაციების გაუქმებას, მათ ლიკვიდაციას. გრძელი და მრავალ ფეროვანია ის უნდობლობის პოლიტიკა რომლითაც უდგებოდენ ახალგაზრდობის კავშირებს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ჩქარმა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების დამოუკიდებელმა წარმოშობამ, როგორც ლაპარაკობს ამხ. ჩიჩერინი, მიიქცია უდიდესი ყურადღება პარტიულ და პროფესინალურ მეთაურების.

განსაკუთრებით ის მოხვდა თვალში პარტიის (სოც.-დემოკრ.) ოპორტუნისტულ ელემენტებს, და კერძოთ ცნობილმა პროფესიონალისტ ოპორტუნისტმა რობერტ შმიდტმა დაიწყო ხმა მაღლა ყვირილი იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ვითომდა მოელოდა გერმანიის მუშათა მოძრაობას და მოითხოვდა ახალგაზრდობის მოჭკვიანებას. პროლეტარული ახალგაზრდობა ვერ დაივიწყებს იმ ვნებას, რომელიც მიაყენეს მის მოძრაობას შმიდტმა, მიულერმა და ოპორტუნიზმის სხვა ბელადებმა. მაგრამ სოციალისტური ახალგაზრდობის მოძრაობას თავიდანვე გამოუჩნდა სათანადო ბელადები და სულის ჩამდგმელნი. ესენი იყვნენ გენრიეტა როლანდ-ჰოლსტი, დუნკერი, ლიბკნეხტი და კლარა ცეტკინი. მათი მეოხებით ახალგაზრდთათა ორგანიზაციები გადარჩა იმ განადგურებას, რომელსაც უქადდა მათ ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატია და გაბიუროკრატებულ პროფესიონალურ კავშირის ბელადთა საქმიანობა. მათი მეოხებით ის აცდა იმ გზას, რომელზედაც ცდილობდა მის დაყენებას ოპორტუნიზმი. ყველაზე უფრო ლიბკნეხტი დაუახლოვდა ახალგაზრდობას და მალე ის პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობის ნამდვილი პიონერი შეიქნა. ლიბკნეხტი იყო იდეიური ხელმძღვანელი, პოლიტიკური ხაზის გამომუშავებელი და ნიჭიერი ორგანიზატორი. ლიბკნეხტი იყო სულიერი მამა მშრომელი ახალგაზრდა თაობის, რომელმაც გამოიღვიძა კაპიტალისტურ უმეცრებიდან და თავის განთავისუფლების გზას დაადგა. გერმანიის ახალგაზრდობა შეიქნა ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის მოწინავე რიგში და თითქმის ყველაზე დაწინაურებული. 1900 წლიების შემდეგ ახალგაზრდათა მოძრაობამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება. ორგანიზაციები იმდენათ ჩამოყალიბდა მთელ ევროპაში (გარდა ინგლისისა, სადაც ამ ქვეყნის სპეციალური მდგომარეობის გამო ახალგაზრდათა მოძრაობა განვითარების სულ სხვა გზით წავიდა და თავიდანვე სუსტათაც მიმდინარეობდა), რომ აუცილებელი გახდა ყველა ამ ორგანიზაციების სახელმძღვანელო ცენტრის შექმნა. ამიტომ 1907 წელს ქ. შტუტგარდში შესდგა ახალგაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციების პირველი საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზე ჩაეყარა საფუძველი ახალგაზრდათა ინტერნაციონალს. ახლად დაარსებულ ინტერნაციონალის პროგრამაში უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა სამი მუხლი: 1) ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, 2) კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ახალგაზრდობაში და 3) ახალგაზრდობის ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობის გაუმჯობესება. სოციალ დემოკრატიამ ამ კონგრესს შესაფერისი ყურადღება მიაქცია და ამიტომ შეიტანა მასში მრავალი შაბლონიური შეხედულებები, რომლებიც ინტერნაციონალს თავისებურ სახეს აძლევდენ: ოპორტუნიზმი მთელი ძალღონით ცდილობდა, რათა ინტერნაციონალი რაც შეიძლება სუსტი ყოფილიყო, როგორც გამაერთიანებელი, საერთაშორისო ორგანიზაცია ახალგაზრდობის კავშირებისა, რადგან ის ამჩნევდა, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობა მემარცხენეობის ტენდენციით იმსჭვალებოდა რომ ლიბკნეხტმა შესძლო თავისი გავლენის შეტანა ახალგაზრდობის უმრავლესობაში. ოპორტუნიზმს ყოველ შემთხვევაში ფუჭათ არ ჩაუარა ცდამ და მან შესძლო ჩვეულებრივი გამთიშველი სენის შეტანა ახალგაზრდობაშიც.

ახალგაზრდობის განსაზღვრული ნაწილი მოიწამლა ოპორტუნისტული საწამლავით და ამგვარად რაც დრო გადიოდა იმდენად რელიგიური ხდებოდა ჩასახული დიფერენციაცია. 1910 წელს შესდგა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მეორე კონგრესი ქ. კოპენჰაგენში. ამ კონგრესს არ უთამაშია დიდი გარდამტეხი როლი და ის მხოლოდ დადასტურება იყო შტუტგარდის კონგრესის დადგენილებების. ორი წლის შემდეგ, სახელდობრ 1912 წელს, მეორე ინტერნაციონალის მორიგი კონგრესის დასრულებისთანავე შესდგა ქ. ბაზელში ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მესამე კონგრესი. როგორც ვიცით მესამე ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის ყურადღება იქნა მიპყრობილი იმ ზომების გამოსამუშავებლად, რომლებიც საჭირო იქნებოდენ მოსალოდნელ მსოფლიო ომის წინააღმდეგ, რომლის საფრთხე უკვე თავს დასტრიალებდა მსოფლიოს. ამიტომ ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესზეც ასეთი ხასიათის კონკრეტიულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად იქნა წარმოებული მთელი მუშაობა. მან სთქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კი მსოფლიო იმპერიალისტური ომი ფაქტი გახდება და, პროლეტარულმა ახალგაზრდობამ ყველაზე მეტათ უნდა აღიმაღლოს ხმა მის წინააღმდეგ. მაგრამ აშკარაა თუ როგორ გაატარა ცხოვრებაში თავისი სიტყვა, დადგენილებები მეორე ინტერნაციონალმა, ყველასათვის ცნობილია ის ღალატი რომელიც ჩაიდინეს მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი და ცხადია ახალგაზრდათა საპროტესტო დემონსტრაციებს, მოწოდებებს და ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას თავის თავად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ამ დაჭიმულ მდგომარეობის მომენტში მოწვეული იქნა ქ. ბერნში (შვეიცარიაში) ახალგაზრდათა ინტერნაციონალის კონფერენცია, რომლის ინიციატივა ნეიტრალურ ქვეყნების კავშირებმა იდვეს თავს. ბევრ მნიშვნელოვან ორგანიზაციების წარმომადგენლები (როგორც მაგალითად იტალიის, ავსტრიის და ნაწილობრივ გერმანიის) არ დასწრებია სავსებით ომის გამო ამ კონფერენციას. ბერნის კონფერენციამ დიდი როლი ითამაშა. მან აუღო ალღო იმ მდგომარეობას, რომელიც დამყარდა მსოფლიო ომის გამო და ამიტომ, რათა იხსნა ახალგაზრდობა იმ კრიზისისაგან, რომელიც შეიქმნა მთელ მუშათა მოძრაობაში, ბერნის კონფერენციამ შემდეგი გადაწყვეტილებანი მიიღო: **„სრული დამოუკიდებლობა ახალგაზრდათა მოძრაობის"** და „ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის" (სექტემბრის პირველი კვირის) დამტკიცება, რომელიც იქნებოდა ბრძოლის საუკეთესო საშუალებათ სოციალისტურ გამცემლობასთან და სასარგებლო კომუნიზმის და კლასობრივი ბრძოლისთვის. მიუხედავად ამისა ახალგაზრდათა ინტერნაციონალი კიდევ მაინც გაურკვეველ სახეს ატარებდა, მისი პოლიტიკური მრწამსი არ იყო ჩამოსხმული. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნაციონალს ოპორტუნისტულათ განწყობილი ჯგუფები ახალგაზრდობისა ჩამოშორდა, მაგრამ ის კომუნისტური არ იყო. იმპერიალისტურ ომის მიერ შექმნილ პირობების გამო მთელი ოთხი წლის განმავლობაში ახალგაზრდათა ინტერნაციონალის არც ერთი კონგრესი-კონფერენცია არ მოწვეულა. ამ ხანებში ციმერვალდის მემარცხენეები გადამწყვეტ ნაბიჯებს სდგამენ და 1919 წლის მარტში ქ. მოსკოვში ჩაეყარა საფუძველი კომუნისტურ ინტერნაციონალს.

დ. გ.

## ამიერ-კავკასიის პარტიული კონფერენცია

[illegible] ვრონული პრობლემის გადაჭრაზე და ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხზე.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. ამხ. ვანო სტურუა და ახუნდოვი.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

[illegible] კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საოლქო ხელმძღვანელი ცენტრი და რ. კ. პ. ც. კ. სრულ უფლებიანი ორგანო ამიერ კავკასიაში, ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს გადაუხვევლად გაატარონ ცხოვრებაში რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ყველა დადგენილებები და დირექტივები.

## ფაშიზმი

**ფაშისტური ორგანიზაციის დაარსება.**

ფაშისტური ორგანიზაცია თავდაპირველად წარმოადგენდა ომში მონაწილეთა კავშირს (კავშირს იტალიურად ჰქვია—„ფაშო"), მას ხელმძღვანელობდენ ყოფილი სოციალისტები, ანარქისტები და სინდიკალისტები, რომელთაც იტალიის ომში ჩაბმის შემდეგ მოიხსნეს თავიანთი ნიღაბი და აღმოჩნდენ ნაციონალისტურად განწყობილი მეშჩანები და ომის ყველაზე მეტად თავგამოდებულნი დამცველნი. ომის დასრულების შემდეგ მათ მოაწყვეს „ომში მონაწილეთა კავშირი", რომელთა პროგრამაში აღნიშნული იყო: ომში მონაწილეთა ინტერესების დაცვა, ყოფილ სალდათებისათვის მიწის დარიგება და სხვა. იმათ რევოლიუციონერებად მოჰქონდათ თავი, და ყველას ეგონა, რომ მათი მოძრაობა რევოლიუციონურ მოძრაობად ჩამოყალიბდებოდა. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რატომ დაადგა ეს მოძრაობა სულ წინააღმდეგ გზას, საჭიროა თვალი გადავავლოთ იტალიას, თუ რას წარმოადგენდა იგი ომის შემდეგ.

იტალიის კაპიტალიზმი არის ანტანტის ძლევა-მოსილ კაპიტალიზმის ყველაზე ახალგაზრდა და სუსტი შტო. იგი ყველაზე უფრო მეტად იყო დაუძლურებული იმ საშინელი მოთხოვნილებებით, რომელსაც უყენებდა მას ომი, და თავისი სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე ნაკლები უნარის მქონე მრეწველობის დემობილიზაციის გასატარებლად.

სამხედრო ნადავლის გაყოფის დროს იტალიას თითქმის არაფერი რგებია. ომის პერიოდში იტალიის ხალხს უხდებოდა იმპერიალისტების ინტერესებისათვის შეწირვა იმავე მსხვერპლისა, როგორიც საფრანგეთის და ინგლისის ხალხს. ომის დამთავრების შემდეგ ბურჟუაზიამ ვერ მოახერხა მისი გაბრუება გამარჯვების განაშით, ხალხი გრძნობდა მწარე დამარცხებას. ეს გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდა იმ კატასტროფის გამო, რომელიც მოევლინა მძიმე ინდუსტრიას, რომელიც ხელოვნურად იყო აშენებული ომის ხანაში და რომელსაც არ შეეძლო მშვიდობიან წარმოებაზე გადასვლა. ახალგაზრდა იტალიის კაპიტალისტურ მრეწველობის პროდუქტების მთავარი ბაზრები—ავსტრია, ბალკანეთი, ოსმალეთი, გერმანია, დახურული იყო, ახალი პოლიტიკური მდგომარეობის, ომის, რევოლიუციის, გერმანიის და ავსტრიის ვალიუტის კურსის დაცემის და სხ. გამო.

დიდმა სამრეწველო კრიზისმა საშინელი უმუშევრობა გამოიწვია; დემობილიზაციით განთავისუფლებულნი სალდათები ვეღარ პოულობდენ სამუშაოს, ამას ზედ დაერთო სასოფლო-მეურნეობის კრიზისი, რომელმაც კიდევ უფრო შეავსო გაკოტრებულ კაპიტალიზმის სამწუხარო სურათი.

**იტალიის კაპიტალიზმის სტრუქტურა და მისი პოლიტიკური გამოხატულება.**

მუშათა ორგანიზაციების სტრუქტურა სავსებით შეეფერებოდა კაპიტალიზმის სტრუქტურას. მუშათა მოძრაობა მოედო მხოლოდ ზემო იტალიას. შუა და სამხრეთ იტალიაში მოძრაობამ მაგრად მოიკიდა ფეხი, მხოლოდ ზოგიერთ ზღვის ნაპირა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში. ერთი მხრით თავის სამხედრო პოლიტიკით სახელგატეხილ ბურჟუაზიულ კლასს და მსხვილ მიწათმფლობელთა და მეორეს მხრივ პროლეტარიატის შორის მოთავსებულია იტალიის მეშჩანების, გლეხების, ხელოსნების, წვრილ მოვაჭრეების და თავის ინტერესებით საზღვარგარეთთან დაკავშირებულ წრეების დიდი საშუალო ფენა. ეს ის კლასია, რომელსაც ჰკლეჯს ბურჟუაზია და ბანკები, ის კლასი, რომლის რიგებშიაც მრავალი ხალხი მძიმე შრომით პოულობს თავის საარსებო საშუალებებს და ძლივ ძლივობით აკმაყოფილებს თავის მცირე მოთხოვნილებებს. მეორეს მხრივ ისინიც არიან თავიანთი შეგირდების და მოსამსახურეების ექსპლოატატორები. გლეხები, პირველ მოთხოვნილების პროდუქტების გაყიდვით და მოვაჭრეები ჩარჩების სახით თავიანთ ინტერესების ერთგვარობით ბურჟუაზიას უერთდებიან.

ეს ორმაგი არსებითი თვისება ბუნებრივად ასვამს დაღს მეშჩანობის პოლიტიკას. თავიანთ მატერიალურ ინტერესების და საერთო კონიუქტურის მიხედვით ისინი ხან მუშებს თანაუგრძნობენ ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს—ხან ბურჟუაზიას მუშებთან ბრძოლის დროს.

ომის შემდეგ, როდესაც ეკონომიურმა კრიზისმა ნათლად გამოაშკარავა მთელი ბურჟუაზიული პოლიტიკის გაკოტრება, ბანკართა, მრეწველთა და მსხვილ ბურჟუაზიის წინააღმდეგ განრისხება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. ამის და მიხედვით დაიწყო გაძლიერება სოციალისტურმა ბანაკმა, რომელმაც არჩევნების დროს მიიღო მთელი მოცემული ხმების ერთი მერვედი. იმ გამარჯვებამ, რომელიც ბურჟუაზიამ მოიპოვა ისეთ რაიონებში, სადაც თითქმის სრულიად არ იყო სამრეწველო პროლეტარიატი, ნათლად დაამტკიცა საერთო სულისკვეთების შეცვლა.

სოციალისტურ პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ძველი პოლიტიკანები და პროფკავშირთა ბიუროკრატები, რომელთა შემეცნება არასოდეს არ გასცილებია ფრთხილ მეშჩანობის საზღვარს, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ცურდნობოდა რა დროებით ანტიკაპიტალისტურად განწყობილ ელემენტებს. მუშათა კლასის წინამძღოლთა დიდი უმრავლესობა იტალიის ეკონომიურ კრიზისში ვერ ხედავდა მსოფლიო კაპიტალის კრიზისის ნიშნებს. ამაში ისინი, როგორც ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატები ხედავდენ მხოლოდ კაპიტალიზმის ჩვეულებრივ კრიზისს, რომელსაც მოჰყვებოდა მისი ხელახალი აღორძინება. მათაც, ისე როგორც ბურჟუაზიას ეშინოდათ პროლეტარული რევოლიუციისა, რომელსაც შეეძლო გამოენახა კრიზისიდან გამოსავალი. ამისდამიხედვით მათი პოლიტიკა იყო ორმაგი და არ შეეძლო დაეკმაყოფილება არც პროლეტარიატის და არც მეშჩანებისა, რომელნიც მოელოდენ სოციალისტებისაგან სასწაულს. ის იმედები, რომელსაც ამყარებდენ სოციალისტებზე უფრო ჩამორჩენილი კლასიურ შეგნებით მუშები და მეშჩანური ელემენტები, თან და თან ქრებოდა.

1919 წ. სექტემბერში, როდესაც პროლეტარიატის და მეშჩანობის უკმაყოფილებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ფაბრიკები ერთი კვირის განმავლობაში. ეგონათ, რომ პროლეტარული რევოლიუციის დაწყება აუცილებელია. არმიაც იყო შეპყრობილი უკმაყოფილებით და უიმედობით. ქალაქები შეიარაღებულ მუშების ხელში იყო, ხოლო ბურჟუაზია კბილების ღრჭენით უძლური დადგა სინამდვილის წინაშე.

პარტიულ და პროფესიონალურ კავშირთა ბიუროკრატების ჩარევამ იმ ბიუროკრატების, რომელთაც ყოველივე ძალღონე იხმარეს ამ კრიტიკულ მომენტში, რათა ჩაექროთ ეს რევოლიუციონური მოძრაობა, გადაარჩინა ბურჟუაზია.

**„ფაშოს" სთხოვენ დახმარებას.**

კაპიტალისტები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, ეძებდენ თავდაცვის საშუალებას და კიდეც იპოვეს იგი „ფაშოში", „ომში მონაწილეთა კავშირში".

როგორც უკვე აღვნიშნე, ფაშისტების ორგანიზაცია თავდაპირველად იყო ნაციონალისტურად განწყობილ მუშების და მეშჩანების რადიკალური

ორგანიზაცია, იმ მეშჩანობის, რომელნიც თანაგრძნობით ეპყრობოდენ სოციალისტებს. იმანაც განიცადა იმედის გაცრუება, რამაც პირი—აბრუნებია მას სოციალისტურ პარტიისაგან. წვრილ ბურჟუაზიის უკმაყოფილებამ, სოციალისტებით, რომელზედაც იგი დიდ იმედებს ამყარებდა, და რომელსაც კიდევ უფრო დიდი მძულვარებით შეაქცია ზურგი, აიძულა ფაშისტები უფრო გაბედულად ებრუნებიათ პირი მეორე მხარესაკენ. მათმა იმედის გაცრუებამ მიიღო აშკარა მტრობის ხასიათი სოციალისტების მიმართ.

ეს ზურგის შექცევა გამოიყენა იტალიის ბურჟუაზიამ. არმიის საბოლოო დემობილიზაციის მომენტში მან გაგზავნა დათხოვნილი აფიცრობა, ძველი უზრუნველყოფის შენახვით, ფაშისტურ ორგანიზაციის რიგებში, და მიანდო მას მოეხდინა თეთრი გვარდიის ორგანიზაცია. **ფაშისტურ ორგანიზაციაში ყოფილ აფიცრების დიდი რაოდენობის შესვლამ ერთბაშად შეცვალა სურათი.** ძველ რა-

[illegible]

ფაშიზმმა ძალიან მოხერხებულად ისარგებლა ამით. ამ განწყობილების ზრდას ხელი შეუწყო იმ საშინელებამ რომელმაც მოიცვა ბურჟუაზია მუშების მიერ ფაბრიკების ხელში ჩაგდების დროს. ამას მიემატა ის გარემოებაც, რომ ფაშისტების წინამძღოლი, მუსოლინი 1915 წლამდე იყო იტალიის სოციალისტების ერთი ცნობილი წინამძღოლთაგანი, პირველ-ხარისხოვანი ორატორი, ამასთანავე გაიძვერაც და ენერგიული დემაგოგი. ის და ფაშისტების ზოგიერთი სხვა წინამძღოლები, ყოფილი სინდიკალისტები და ანარქისტები მშვენივრად ახერხებდენ დაეფარათ სახე ნაციონალისტური, რესპუბლიკანური და ზოგჯერ ანტიკაპიტალისტური ლოზუნგებით, რამაც ფაშისტურ ორგანიზაციას სრულიად შეუცვალა ხასიათი.

**ნიღაბი ჩამოიხსნეს.**

**ფაშისტების მოღვაწეობა მიმართული იქნა მუშების წინააღმდეგ.** წინასწარ მოფიქრებულ გეგმით სპეციალურად ამ საქმისათვის დანიშ-

[illegible]

ციები, რომელთაც ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა თავიანთი ძალების დაქსაქსვის გამო. იმის შემდეგ, როდესაც ფაშისტებმა დაუმტკიცეს ბურჟუაზიას, რომ ისინი ემსახურებიან იმის ინტერესებს, მათ მიიღეს უკანასკნელისაგან აუარებელი ოქრო და იარაღი, რამაც მათ მისცა საშუალება თავისი მოქმედება გაეფართოებიათ.

ისინი სარგებლობდენ რკინის გზებზე უფასო მიმოსვლით. დამსჯელი ექსპედიციები იგზავნებოდენ სოფლებში საბარგო ავტომობილებით, რომელსაც აძლევდენ მათ ფაბრიკანტები და არმია. თანდათანობით მათ დაიპყრეს წვრილი სამრეწველო ადგილები, და ზემო იტალიის სოფლები, გადასწვეს მუშათა სახლები, ორგანიზაციების შენობები, კოოპერატივები, კლუბები და სხ., ხოცავდენ და ასახლებდენ მუშების წინამძღოლებს და საერთოთ მოწინააღმდეგეთ. ჟანდარმერია და პოლიცია ნეიტრალურად იჭერდენ თავს, იმ ადგილებში სადაც ისინი იყვნენ ძლიერნი, ხოლო თწიადინ დახმარებას მაშინ, როდე-

[illegible]

რომელსაც ექნება პუანკარესთან თათბირი.

**ინგლისელები პროვოკაციას ეწევიან.**

**ანგორა,** 11 ნოემბერი. სულთანი ვახი ედინი კვლავ სასახლეში იმყოფება. გენერალი გარინგტონი აიმედებს ვახი-ედინს და არწმუნებს არ გადადგეს ტახტიდან. ინგლისელებმა ვახი-ედინის სახელით შეადგინეს დეკლარაცია მთელი მუსულმანობისადმი. პოლიციამ აღმოაჩინა მოწოდება, რომელსაც მიზნად ჰქონდა სულთანის მხარის დასაჭერად მიმართულების შექმნა.

სულთანის კარისკაცები ურიგებენ ფულებს აგიტატორებს, ეწევიან პროპაგანდას სულთანის სასარგებლოდ. ინგლისელების გავლენით სულთანმა პარასკევს გამართა მორიგი „სელიამლიკი". ინგლისელებმა მოზიდეს სტამბოლში 15 ჰაეროპლანი, რომლებიც დაფრინავენ ქალაქის ზემოდ. ანგორის პრესის აზრით, ინგლისელებს სურთ წააქეზონ მცხოვრებლები უწესოების გამოწვევისათვის.

[illegible]

რე გენერლები კომპრომისზე წავიდნენ რაფეტ-ფაშასთან ოსმალეთის ჟანდარმერიის და პოლიციის კონტროლის საკითხში, მდგომარეობა კრიტიკულია. ოსმალონი მოითხოვენ მოკავშირეების ევაკუაცია სტამბოლიდან საზავო კონფერენციის დაწყებამდე.

მოკავშირეთა გენერლების თათბირმა აღიარა, რომ მდგომარეობა სერიოზულია და ემუქრება მოკავშირეთა ჯარებს, ვინაიდან რაფეტ ფაშის განკარგულებაში ოსმალეთის ჟანდარმერიის და პოლიციის საკმაო ძალებია მოქცეული.

**პარიზი.** 13 ნოემბერი. ქალაქის სააზიო ნაწილში ოსმალეთის მეფურნეები არ ყიდიან პურს უცხოელებზე.

**ინტერვიუ რეფეტ-ფაშასთან.**

**პარიზი.** 13 ნოემბერი, „პტი-პარიზიენის" თანამშრომელი ხანგრძლივი ინტერვიუ ჰქონდა რეფეტ ფაშასთან, რომელმაც განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს შეასრულოს მუდანიის შეთანხმება, მაგრამ მისი აზრით მუ-

[illegible]

## ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

**მოსკოვი.** 14 ნოემბ. 11 ნოემბერს საღამოს სხდომაზე **პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენელი მიხალკოვსკი** აღნიშნავს, რომ პოლონეთში უკანასკნელი არჩევნების დროს სამ ოლქში კომუნისტებმა მიიღეს 100.000-ზე მეტი ხმა. კომუნისტებმა მოახერხეს არა ლეგალურ მუშაობასთან ერთად ლეგალური მუშაობის წარმოებაც. ამ ჟამად წარმატებით ტარდება ცხოვრებაში ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. კომპარტიამ შეათანხმა მის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება აგრარული საკითხის შესახებ სოფლის მუშათა და წვრილ გლეხობის მოთხოვნილებებთან.

**ინგლისის დელეგატი მერფი** ამბობს, რომ ის ეთანხმება ზინოვიევის თეზისებს. ინგლისში კაპიტალის თავდასხმა სწარმოებდა ძლიერ დახელოვნებულად. ბურჟუაზია მაინც დაბნევას განიცდის. ამ ჟამად კომპარტიის მდგომარეობა ინგლისში სავსებით [illegible]

[illegible]

ინტერნაციონალურ დისციპლინის შექმნისაკენ.

— **12 ნოემბერს დილის სხდომაზე საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი როსნერი** აცხადებს, რომ მის პარტიას აკრიტიკებენ სრულიად სამართლიანად. საფრანგეთი კონტრრევოლიუციის ჟანდარმია და ამიტომ საფრანგეთის კომუნისტებს მოეთხოვებათ განსაკუთრებით დიდი აქტიურობა.

— კომინტერნმა ორჯერ გადაარჩინა რევოლიუციონური მოძრაობა: პირველად—როდესაც მან მოახდინა განხეთქილება ესდეკების პარტიათა შორის და შექმნა ახალი კომუნისტური პარტიები; მეორედ—როდესაც მან წამოაყენა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. ამ ტაქტიკის მოწინააღმდეგეებმა ვერ შესძლეს მეორე ტაქტიკის დასახელება. ამ ჟამად ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ცხოვრებაში ტარდება პროფესიონალურ მოძრაობაში, სახელდობრ [illegible]

[illegible]

## ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

### ᲙᲐᲛᲩᲐᲢᲙᲐᲨᲔ

[illegible] ...ლება. პეტროპავლოვსკში შესდგა რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც დეპეშით აცნობა ლენინს: რომ ის ცნობს მხოლოდ საბჭოთა ძალა უფლებას. სოფლებში მოეწყო საბჭოები. თხოულობენ სამხედრო დახმარებას თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

## ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**პარიზის თათბირისათვის.**

**კროიდონი.** 14 ნოემბერი. ლონდონში გავრცელდა აზრი, რომ მოკავშირე ქვეყნების შინაური მდგომარეობა ხელს უშლის ლოზანის კონფერენციის მოწვევამდე წინასწარი თათბირის გამართვას და შესაფერი ადგილის გამონახვას. ამიტომ გამოსთქვამენ აზრს რომ თათბირი არ შესდგება ფიქრობენ ა რეთვე, რომ მაინც და მაინც ეს წინასწარი თათბირი არც ისე საჭიროა, რადგან მოკავშირეთა პრემიერების ინტერესები ახლო-აღმოსავლეთის საკითხში ერთნაირია. მაგრამ თუ თათბირი გაიმართა, ეს მოხდება იმიტომ, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლები ოსმალოებთან შეხვედრამდე სისწორით განსაზღვრავენ თავიანთ მოთხოვნილებებს და პრეტენზიებს, ვინაიდან თუ ოსმალეთი იგრძნობს, რომ არსებობს მოკავშირეთა შორის უთანხმოებანი, აქედან ისინი იმ დასკვნას გამოიტანებენ, რომ მათ მიერ დაკავებული პოზიცია იყო ანტანტის განხეთქილების მიზეზი.

**სამხედრო წესების გამოცხადება კონსტანტინოპოლში.**

**კროიდონი.** 14 ნოემბერი. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, რომ ამ ჟამად კონსტანტინოპოლში საალყო წესების გამოცხადება საქმეს ვერ გამოასწორებს, შეუძლებელია კონსტანტინოპოლში მოხდეს ოსმალეთის მიერ დაყენებულ ადმინსტრაციის შეცვლა.

**კონფერენციის გადადება.**

**ჰანოვერი.** 14 ნოემბერი. პარიზიდან ოფიციალურად იტყობინებიან ლოზანას კონფერენციის 20 ნოემბრისათვის გადადების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროში შესდგა იურიდიული, სამხედრო და საფინანსო თათბირი ლოზანის კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენლების მოქმედების ხაზის შესახებ.

**ჰანოვერი.** 14 ნოემ. ლოზანას კონფერენციის გადადებამ, თუმც კი მოახდინა პარიზში ძლიერი შთაბეჭდილება, მაგრამ მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან პუანკარეს ქანიახობას მოაავლში შეიძლება მოჰყოლოდა საფრანგეთის სრული იზოლიაცია, რადგან კონფერენცია რომ არ გადადებულიყო,—მასში, ინგლისსა და იტალიას გარდა, არ იქნებოდენ წარმოდგენილნი აგრეთვე სამხრეთ სლავია, საბერძნეთი, რუმინია და იაპონია.

**ჰანოვერი,** 14 ნოემბ. პუანკარეს დიპლომატიურ დამარცხების გამო ლოზანას კონფერენციის გადადების საკითხის შესახებ დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ პუანკარეს, როგორც პრემიერის, მდგომარეობა შეირყა. საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს კაბინეთის გადადგომას და პუანკარეს ვივიანით შეცვლას.

იტყობინებიან, რომ იქ ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია ისმეტ ფაშის მეთაურობით. წავა თუ არა ისმეტ ფაშა, საფრანგეთის მოწვევის თანახმად, პარიზში, ჯერ არ ვიცით.

**საფრანგეთის ექსპერტები.**

**ბორდო** 14 ნოემბ. დანიშნულია საფრანგეთის საზღვაო და სამხედრო ექსპერტები ლოზანას კონფერენციაზე შემდეგი შემადგენლობით: მარშალი ფოში, ადმირალი ლაკაზი და გენერალი ვეინგანდი.

**იტალიელების დამხმარე ძალები.**

**ჰანოვერი.** 14 ნოემბერი. იტალიის გაზეთი „პიკოლო" იტყობინება, რომ იტალიის კრეისერი „ბერმუდა" გაიგზავნა კონსტანტინეპოლში.

**პარიზის თათბირის გამო.**

**ბოდრო** 14 ნოემბერი. ლოზანაში ჩამოსულმა ისმეტ ფაშამ მიიღო მიწვევა პარიზის თათბირზე რომელიც შესდგება კონფერენციამდე მიმდინარე კვირის დასასრულს.

**ახალი ძალები.**

**რომი,** 14 ნოემბ. მოკავშირეთა გენერლებმა ხელახლად გამართეს თათბირი შექმნილ მდგომარეობისა და მცირე აზიიდან ემალის ახალი ჯარების ჩამოსვლის გამო.

**რომი.** 14 ნოემბ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის ჟანდარმერიის და ინგლისელებს შორის მომხთარ ინციდენტის გამო, მოკავშირეთა გენერლების სხდომაზე შეტანილ იქნა წინადადება საალყო წესების გამოცხადების შესახებ. მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა ამის შესახებ შეეკითხენ თავიანთ მთავრობებს და თან დასძინეს, რომ საალყო წესების გამოცხადება არ არის საჭირო, ვინაიდან მისი განხორციელებისათვის საჭირო იქნება ახალი სამხედრო ძალების გამოგზავნა.

**მოკავშირეები სოლიდარულად მოქმედობენ.**

**კროიდონი.** 13 ნოემბერი. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობები შეთანხმებული არიან ახლო აღმოსავლეთის საკითხში. მდგომარეობა ამ ჟამად არ იძლევა გაუგებრობების ნიშნებს. სავსებით აშკარათ ბლიარებენ მოკავშირეების წრეებში, რომ ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნილებანი არღვევენ მუდანიის და მუდროსის შეთანხმებას.

**„რანდი ტაიმსის" აზრი.**

**კროიდონი.** 13 ნოემბერი ყოფილი კაბინეთის ორგანო „რანდი ტაიმსი" დღევანდელ მოწინავე წერილში ამბობს, რომ ლორდ კერზონი და ბონარ ლოუ თავიანთ მოქმედებაში ჰპოვებენ სრულ დახმარებას, ვინაიდან სახელმწიფო ხედავს, რომ მთავრობას დიდი და რთული საკითხები აქვს გადასაჭრელი და მას მიეცემა მოქმედების სრული თავისუფლება. გაზეთი მოუწოდებს მოკავშირეებს სრულ ურთიერთ თანხმობისაკენ ახლო-აღმოსავლეთის საკითხში და ურჩევს მათ არ გაიყვანონ სტამბოლში ისე-[illegible]

**„ობსერვერის" აზრი.**

**კროიდონი.** 13 ნოემბერი. „ობსერვერი" მოწინავე წერილში ამბობს: გამარჯვებისა და რევოლიუციის მომენტში ოსმალეთმა შესაძლებლად დაინახა წარედგინა ისეთი მოთხოვნილებანი, რომელიც მიუღებელია, როგორც ინგლისის, საფრანგეთის და იტალიისათვის, აგრეთვე მცირე ანტანტისთვისაც. ამავე დროს იმათ ჩამოაგდეს სულთანი. ოსმალეთში მტკიცედ უნდა იცავდენ მუდანის კონფერენციებს. ისინი დარჩებიან ევროპაში და იქნებიან სრუტეების მფარველები, მხოლოდ იმ პირობებში, რომელთაც შეიმუშავებს ლოზანის კონფერენცია.

**სტამბოლის ევაკუაციის ვადა.**

**კროიდონი.** 13 ნოემბერი. მთელი პრესა ლაპარაკობს, რომ თუმცადა მოკავშირეები არასოდეს არ ფიქრობდენ სტამბოლის დაბრუნებას ოსმალეთისათვის, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის დროს ძლიერ მნიშვნელოვანია სტამბოლის მოკავშირეების მიერ ევაკუციის ვადის გამორკვევა.

**ინგლისი და ლოზანას კონფერენცია.**

**მანჩესტერი.** 13 ნოემბ. „პტი-პარიზენის" ცნობით, ინგლისის მთავრობას უფრო ხელსაყრელად მიაჩნია სრულებით უარი სთქვას ლოზანას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე მანამ, ვიდრე გამოაშკარავებულ იქნას კონფერენციაზე მოკავშირეთა უთანხმოება ოსმალეთის საკითხში.

**უმაღლეს კომისრების მუქარა.**

**მანჩესტერი.** 13 ნოემბერი. სტამბოლის ცნობით, მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა მოსთხოვეს ანგორის მთავრობას გააუქმოს ყველა მის მიერ მიღებული ზომები, რომელნიც ეხებიან საბაჟო გადასახადებს, სახელმწიფო ვალებს და კაპიტულიაციას, ვინაიდან ეს ზომები ეწინააღმდეგებიან მუდანიის შეთანხმებას. უმაღლესი კომისრები ანგორის მიერ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილების შემთხვევაში იმუქრებიან ძალდატანებით ზომების მიღებით.

**სულთანი დაიკარგა.**

**მანჩესტერი.** 13 ნოემბ. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მან არ იცის სულთანის ყოფნის ადგილი, და რომ იგი არ იმყოფება ინგლისის გემზე.

**ტაიმსის აზრი.**

**ნაუენი** 13 ნოემბერი. „ტაიმსი" სწერს, რომ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა ვერ არის სწორად გაგებული საფრანგეთის მიერ. გაზეთი მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან, რომ მან გაარკვიოს, შესაძლებელია თუ არა კონფერენციის მოწვევა ლოზანაში და გამართლებულია თუ არა დიდი ბრიტანეთის მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. გაზეთი დასძენს, რომ, თუმცა ინგლისი მოწადინებულია საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილი იქნას სამართლიანად საფრანგეთის მიმართ, ინგლისის პოზიცია ამ საკითხში დამოკიდებულია იმაზე, რა გზას დაადგება საფრანგეთის მთავრობა ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

**ისმეთ-ფაშას თათბირი პუანკარესთან.**

**კროიდონი.** 13 ნოემბერი. პარიზში [illegible]

## ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

[illegible] გამო, უძლური გამოდგა. გამომსვლებს ადგილი აქვს სხვადასხვა ქალაქებში.

**გერმანიის მთავრობის რეკონსტრუქცია.**

**ჰანოვერი.** 14 ნოემ. გერმანიის მთავრობის რეკონსტრუქციის პროექტს დიდი დაბრკოლებები ელოდება 13 ნოემბრისათვის დანიშნული იყო რეიხსტაგის გახსნა. ამ დღისათვის რეიხსკანცლერს უნდა წარმოეთქვა სიტყვა გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ეს სიტყვა გადადებულია.

**სტინნესის განცხადების შესახებ.**

**კროიდონი.** 14 ნოემბერი სტინნესმა სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მარკის სტიმბულიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ კი მუშები ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში ორი ზედმეტი საათი უსასყიდლოთ იმუშავებენ. მხოლოდ ეს მოსპობს ეკონომიურ კრიზისს.

**სტინესის წინადადება.**

**მოსკოვი.** 14 ნოემბერი. ბერლინიდან იტყობინებიან: სტინესმა წამოაყენა წინადადება 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

[illegible] დოს მოკავშირეებს ყოველ თვიურად 1.720.000 ტონი ნახშირი.

**უკრაინა და გერმანია.**

**მოსკოვი.** 14 ნოემბერი. რაპალოს ხელშეკრულების უკრაინაზე გავრცელების გამო, გერმანიის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა უკრაინაში ფონ-ჰეუგენმა ინახულა უკრაინის გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილე და გამოსთქვა სიხარული იმის გამო, რომ გერმანიასა და უკრაინას შორის დამყარებულია მტკიცე კეთილ-მეზობლური ურთიერთობა.

**ლატვია.**

**მოსკოვი.** 14 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავთან დაკავშირებით რიგის ცენტრალურმა ციხის ადმინისტრაციამ სცემა, ჩაამწყვდია კარცერში და ნახვა მოუსპო პოლიტიკურ პატიმრებს, რუსეთის მოქალაქეებს, რომელნიც გადასაცვლელად არიან დანიშნული, სცემეს აგრეთვე ქალებსაც. პატიმარ ეფრატის გატეხილი აქვს თავი და დაზიანებული აქვს ყურები, რუტო მძიმეთ დაჭრილია ხელში.

რ. ს. ფ. სრ. სრულუფლებიანი წარმომადგენელმა ლატვიაში იუ]ენევმა მოსთხოვა ლატვიის მთავრობას სასწრაფო გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ

### რუსეთი

**სახალინის ოკუპაცია.**

**მოსკოვი.** 14 ნოემბ. იოფემ მიმართა იტალიის მთავრობას პროტესტით იაპონიის ჯარების მიერ სახალინის ოკუპაციის განგრძობის წინააღმდეგ.

**სამეურნეო ფრონტზე.**

**მოსკოვი.** 14 ნოემბერი. იუზოვკაში დაიწყო მუშაობა ქიმიურმა ქარხანამ, რომელიც ამზადებს ბენზოლს, სამიაგს და სხვა ქიმიურ პროდუქტებს.

— უკრაინის ეკონომიურმა საბჭომ გადადვა თანხები იზიუმში ძლიერი ელექტრო-სადგურის ასაშენებლად.

**„გლეხის სახლი".**

**მოსკოვი.** 14 ნოემბ. (დასაწყისი არ არის მიღებული).. კალინინმა აღნიშნა, რომ სახლმა უნდა გააცნოს გლეხს ქალაქის კულტურა და შეაკავშიროს სოფლის და ქალაქის მშრომელნი.

ჩ ჩერინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაამარცხა მტრები, მუშათა და გლეხებს შორის არსებულ კავშირის საშუალებით. საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება—მშრომელთა ერთიანობაშია. მაგალითის მაჩვენებელია: დასავლეთის მუშები და გლეხები.

ფინანსთა სახ. კომისარმა საკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველ თვიურად ანდომებს მილიონ ოქროს მანეთს აგრონომიულ დახმარებას და რომ „გლეხის სახლი" ითამაშებს უდიდეს როლს სოფლის მეურნეობის აღორძინე-[illegible]

### აზერბეიჯანი

**ბაქო. 13 ნოემ. ხანძარი შოლარის წყალსადენზე.**

13 ნოემბერს დილის 5 საათზე სად. ნასოსნაიაან შოლარის წყალსადენზე სუმგაითში გაჩნდა ცეცხლი. შოლარის წყალსადენი ესერთად ერთია მთელს მაოფლიოში, რომელიც აკმაყოფილებს მთელს ბაქოს, წყალს აგზავნის 110 ვერსის მანძილზე. ააშენა ინჟინერმა ლინდლეიმ და 1917 წელს საჩქაროთ იქნა დამთავრებული. იატაკი გაიკეთა ნავთით; შენობის უდიდესი ნაწილი ხისა. საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მოწყობილობის დამთავრება: გამოიწერა გერმანიიდან მამოძრავებელი, იატაკის ნახევარი ამოაშენა ბეტონებით.

„ცხელი შენობას ელვის სისწრაფით მოედო. ორი დიზელი განაგრძობდა მუშაობას ცეცხლში, მაგრამ გაძლიერებულმა ცეცხლმა დაწვა სპილენძის ნაწილები. ქერი ჩამონგრა. საბედნიეროდ გადარჩა დიზელის მოტორები და საქაჩები, მხოლოდ ცოტათი დაზიანდნენ, ელექტრონის სადგური გადარჩენილია. სპეცების ვარაუდით ზარალი უდრის 1 მილ. მანეთს ოქროთი. ბაქოში სასტიკი წყლის კრიზისია. გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მუსაბეკოვის თავმჯდომარეობით ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად კომისიის დაარსების შესახებ. მიღებული დიდი ენერგიული ზომები სადგურის აღდგენისათვის ბათომში სტამბოლიდან მიღებულია 600 მილიანი დიზელი.

### სომხეთი.

**საგიტაციო განყოფილებაში.**

კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო განყოფილებამ გამოუშვა ბროშიურა „რა არის საბჭოები და როგორ უნდა აირჩიოთ ისინი".

**შრომის ბირჟა.**

მოხდა შრომის ბირჟის კომიტეტის გახსნა. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ოვსეპიანი.

**მილიცია.**

ცენტრალურ აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს მილიციელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 5 მილიარდი მანეთი.

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად დაინიშნა ამხ. სარქისიანი.

## ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ-ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ა. წ. 6 ნოემბერს გაიხსნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დარბაზში მისი განყოფილებების ნაწარმოებთა სანიმუშო გამოფენა, სადაც ნაჩვენებია დიაგრამებით, კარტოგრამებით და სხვა და სხვა ექსპონატებით, მრავალი სამეურნეო ნიმუშები.

დიაგრამებით აღნიშნულია ამა თუ იმ სამეურნეო ორგანოს წარმოებითი რაოდენობის, მიმდინარეობის სახე და მათი მოძრაობა სხვა და სხვა დროს. შესანიშნავია და ყურადსაღები საერთოთ გამოფენათა შორის სამთო-მადნო განყოფილება; 1-ლი წარმოადგენს ნათელ სურათს საქართველოს ბუნების სიმდიდრისას; მაღაროს გაფენილი ტეხნიკური მხარე სათანადო ღირსებისაა, აქ ნახავთ გვირაბს მაღაროში შესასვლელს, რომელშიდაც დაგებულია ვიწრო რკინის-გზის ლიანდაგი, გარეგნული შეხედულება გვირაბის სწორეთ მთების ზენაპირის უსწორ მასწორობას წარმოადგენს, მაგრამ უფრო შესანიშნავია მადნეულობის ნიმუშები, მაგ.: ქვა ნახშირის, ჭიათურის შავი ქვის, სპილენძის და სხვა, დაუმუშავებელ ნავთის ნიმუშები, საკურნალო წყლები და სხვა; შემდეგ თამბაქოს ტრესტი თავის სხვა და სხვა ხარისხას და ჯიშის თამბაქოებით, რითაც საქართველო არა ნაკლებ მდიდარია და, როგორც სჩანს გამოფენაზე, წარმოებაც თავის სიმაღლეზე დგას. ბოლოს ლითონის განყოფილებაა შესანიშნავი, სადაც სასოფლო სამეურნეო იარაღების ნიმუშებია გამოფენილი.

საერთოდ მთელი გამოფენა საკმაო სურათს იძლევა საქართველოს მეურნეობისას. ეს პირველი ნიმუშები დამამტკიცებელია იმის, რომ საქართველოს მეურნეობა აღორძინების გზაზეა შემდგარი.

**მნახველი.**

## ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.** ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობებით, ამერიკულ ფქვილზე ფასი არ შეცვლილა. ბაზარზე სრულებით არ მოიპოვება დაბალი ხარისხის ამერიკული ფქვილი „ამოზონკა", ბაზარზე ბევრია ყუბანის ფქვილი. მრავალმა ფირმებმა ხელი მიჰყვეს ყუბანის ფქვილით ვაჭრობას. იაფდება ადგილობრივი მარცვლეული: ხორბალი, ქერი, სიმინდი. ძვირდება ფხვნილი შაქარი და ნარმა. დღეს შემდეგი ფასებია: ამერიკული ფქვილი „ნელსონი" ფუთი — 680 — 700, „დურუში"—500—520 ყუბანის—480—500, ადგილობრივი—240—250, სიმინდის ფქვილი—140—150, ხორბალი—160—200, ქერი—120—130, სიმინდი—90—110, შაქარი რაფინადი ფუთი 3 ტომ.—4,500—4600, ფხვნილი შაქარი ამერიკ. ფუთი 980—1,000 სახარინი სისიფროსი კილო—4,600. ნარმა სსს „სობ გოლ". თოფი 3,250—3,300, ჩაითი საზღვარგარეთის—40—50.

ინგლისური შევიოტი — 600—1,200; უბრალო შევიოტი 200—500; სატინი 70—130, მადეპალომი თოფ 36 იარდი—2,200, სარეცხი საპონი ადგილობრივი „ტოლლე" ფუთი—1,120, მარსელის საპონი „პეტური" ფუთი 500 კილო—3,500—3,600, მარმალილოს საპონი ფუთი—700—900.

**ფასები სოხუმის თამბაქოზე სტამბოლში.** საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ცნობებით უკანასკნელი ხელშეკრულებით სოხუმის თამბაქო იყიდებოდა 110—120 მ. კილო ამ ჟამად ბაზარზე თამბაქო არ მოიპოვება, წარმომადგენლობის აზრით, მყიდველების უფრო დამშვიდებული დამოკიდებულებისა და უფრო რეალურ მიწოდების დროს ფასები უსათუოდ ნაკლები იქნება 100—110 მ.-ზე.

**ვალიუტის არაოფიციალური კურსი თბილისში.**

13 ნოემბერი. სტერლინგი 1.210.000 ფრანგ. ფრანკი—17,000, იტალიური ლირა—8,500, ოსმალური ქაღ. ლირა—157,000, დოლარი — 270,000, გერმ. მარკაზე—არ არის მოთხოვნილება, 10 მან. ოქრო—1,360,000, ოქროს ლირა—1,070,000, აზერბეიჯან.—1 პროც. 1 მ. რუს. ფ. ნიშანი 2[?] წ.—125.

**გერმანიაში თამბაქოს შეტანის აკრძალვა.**

ჟურნალ „ვნეშნაია ტორგოვლიაში" მოთავსებული იყო ცნობა, რომ გერმანიაში აკრძალულია თამბაქოს შეტანა. საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობა ახლო აღმოსავლეთში იტყობინება, რომ გერმანიაში ფუთიანი თამბაქოს შეტანისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვა ყოველი ცალკე შემთხვევაში.

# პარტიული ცხოვრება

**რაიონის თემი.**

[illegible]

ბ. ზოდელაშვილი.

# პროვინციაში

[illegible]

განათლების, ჯანმრთელობის, მიწად-მოქმედების, შინაგან მართველობის (ადმინისტრაცია), სასურსათო, შრომის, სამხედრო, საფინანსო, იურიდიული და სხვა. ეს განყოფილებები, უფრო სწორად, რომ ვსთქვათ სამაზრო ალმასკომის აპარატები სათანადო სიმაღლეზე, აღმოჩნდა და თუ რამე კი გაუკეთებია სამაზრო ალმასკომს, აი სწორედ ამ მოხსენიილი აპარატების საშუალებით. და როდესაც სამაზრო ალმასკომის მოღვაწეობას ვეხები საჭიროთ მიმაჩნია სათანადოთ შევეხო მის აპარატებს.

**ეკონომიური განყოფილების საქმიანობა.** დღიდგან საბჭოთა ხელის უფლების დამყარებისა, ეკონომიურ განყოფილებას თავისი ტეხნიკურ ქვეგანყოფილებით გურიაში ბევრი რამ გაუკეთებია. ეს განყოფილება უპირველეს ყურადღებას თავიდანვე აქცევდა გზებს და ხიდებს, რომელსაც 1914 წლიდან და წინეთაც არც ერთ მთავრობის მიერ არავითარი ყურადღება არ ქონდა მიქცეული და რომელიც უკანასკნელმა ხელის უფლებამ სრულებით განადგურებული, გაცარცული, გაპარტახებული დასტოვა. და აი ამ მიზნით ის პირველად აკეთებს ნატანებ ოზურგეთის გზატკეცილს, აკეთებს ამ გზაზე 13 ხის ბოგირს, სამი კლუბი, სადურგლო, სამკერვალო, სიმჭედლო, საპარიკმახერო, შეკეთა ელექტრონის სადგური, ნიგოითში აგებულია ორი სართულიანი შენობა და სახალხო სახლი, შემოქმედში შეკეთდა ძველი დაწყებული ორ სართულიანი შენობის 3 დარბაზი, შუხუთში დასრულებულია ძველი დაწყებული სკოლის ორ სართულიანი შენობა, ლანჩხუთში და სუფსაში დაწყებულია სახალხო სახლის შენობების აგება. ამ ჟამათ გურიაში უკვე სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა წყალდიდობის მიერ განადგურებული ხიდების და გზების აღსადგენად. ხალხი მთელ თავის ძალა-ენერგიას დაუზოგავათ ახმარს ამ დიდ საქმეს. და ჩვენ ვიმედოვნებთ გამარჯვებული გამოვალთ ამ რევოლიუციონურ შრომის ფრონტზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს უმეტეს შემთხვევაში კეთდებოდა და კეთდება ცარიელი ხელებით და მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში თორემ უდაოა მეტის გაკეთება შეიძლებოდა იმ ენერგიის ნახევრითაც კი, რაც ამ დარგში დახარჯულია. ასეთია ამ დარგში საქმიანობა დაახლოვებით გურიაში და მისი პერსპექტივები. დანარჩენზე შემდეგ.

პროლეტარი.

# ნიკო ჩადუნელი

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენი რიგებიდან გამოგვტაცა ერთ-ერთი გულწრფელი ძველი მებრძოლი ამხ. ჩადუნელი.

ამხ. ნიკოს დიდი პოპულარობა ჰქონდა და დამსახურებული პირველ რაიონის როგორც პარტიულ ამხანაგებში, ისე უპარტიო მუშებში, და ამიტომ იყო რომ მის დასაფლავებას 8 ნოემბერს აუარებელმა მუშებმა სცა პატივი, იყო სიტყვებიც. ნიკო ჩადუნელი ხელობით სტოლიარი, რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში მუშაობდა; ჩვენ პარტიაში შევიდა 1902 წელს რის შემდეგ დაუღალავათ მუშაობდა, როგორც გულწრფელი რევოლიუციონერი მეფის რეჟიმის და მენშევიკების დროს. ერთხელ იყო დაპატიმრებული, რამაც საგრძნობლად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე—დაავადმტყოფდა, და 6 ნოემბერს გარდაიცვალა. ძვირფასო ამხანაგო ნიკო, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ვიბრძოლებთ იმ იდეალებისათვის, რომელსაც შენ ემსახურებოდი და რომელიც დღეს უკვე ხორცს ისხამს. შენ კი განისვენე ძვირფასო ამხანაგო.

იასონ ჭოლოყაშვილი.

# ქრონიკა

✦ **კვირაობა მამადავითის მთაზე.** 12 ნოემბერს გაიმართა კვირაობა მამადავითის მთაზე ტყის გაშენების წინასწარი მუშაობის საწარმოებლად. მუშაობდა 1000 მეტი კაცი, ყველა კომუნისტები, რომელნიც გამოგზავნა ქალაქის რაიკომებმა (თვითეულ რაიკომიდან 250 კაცი) და საქართველოს წითელი არმიის მესანგრე ნაწილი. კვირაობაში მონაწილეობის მიმღებნი შეიკრიბენ საქ. კომპარ. ცენტრ. კომიტეტთან და იქიდან რუსთაველის პროსპექტით და ერმოლოვის ქუჩით მუსიკით გაემართენ ფუნიკულიორის ქვემო სადგურისკენ, საიდანაც ავიდნენ მთაზე. იქ პ'დრო აღმშენებლობის ტეხნიკოსებმა დაჰყვეს მომუშავენი ჯგუფებათ.

მუშაობა გაგრძელდა დილის 8 საათიდან, შუადღის 12 საათამდე; მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა: თფილისის ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლადო დუმბაძემ და ქალაქის ალმასკომის განყოფილების გამგეებმა—კომუნისტებმა. ტეხნიკურ ხელმძღვანელობად იყვნენ ინჟ. მ. ტ. ანდრონოვი და მამადავითზე ტყის გაშენების პროექტის ავტორი ი. ი. როშჩინი.

მუშაობა დაიწყო საქართველოს ხე ტყის მმართველობის ტეხნიკური აპარატის ინიციატივით. საქ. ხე ტყის სამმართველოდან გავიდნენ სამუშაოდ როგორც ტეხნიკური პერსონალი, ისე კოლეგიის წევრნი.

დაახლოვებით 10 ვერსის მანძილზე

✦ **ყაჩაღების გამოცხადება.** ქუთაისის მაზრა-ქალაქების მილიციის უფროსი გვატყობინებს, რომ 10 ნოემბერს, ცნობილი გადავარდნილი ყაჩაღები, მცხოვრებნი სოფ. მაღლაკში, პოლიძე კოლია ისიდორეს ძე კვერნაძე, შალიკო ლუკას ძე, მათივე ნებით და იარაღებით გამოცხადნენ მას.

# ხელოვნება

**თბილისი ქართული თეატრის შესახებ.**

[illegible]

მიიღო გრიგოლ რობაქიძის შემდეგი წინადადებები: 1) სეზონი იქნეს გაგრძელებული; 2) უმთავრესი ყურადღება აკადემიურ თეატრების მმართველობის მიექცეს ქართულ დრამას და გადატანილ იქნეს აქ ცენტრი მმართველობის; 3) მთავრობის მიერ თეატრებისათვის განზრახული სუბსიდიების უმეტესი ნაწილი მიეცეს ქართულ დრამას; 4) შედგენილ იქნეს რეპერტუარის კომისია და 5) თეატრთან დაარსდეს ლიტერატურულ გამგის თანამდებობა. თათბირმა დაადგინა ეს წინადადებები წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლათ.

— **იპოლიტოვ-ივანოვი თბილისში.** სახალხო განათლების კომისარიატმა დეპეშით მიმართა რუსეთის განათლების კომისარს ლუნაჩარსკის, რათა მისი შუამდგომლობით თბილისში ჩამოვიდეს ოპერა „[illegible]" ავტორი კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი, რამდენიმე კონცერტების მოსაწყობად.

— **იაკობ ნიკოლაძის იუბილე.** იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა იუბილე გამართოს 3 დეკემბერს. იუბილეს დღეს მოწყობილი იქნება იუბილიარის ნაწარმოებთა გამოფენა. იუბილე გაიმართება რუსთაველის თეატრის სასაკონცერტო დარბაზში. კომიტეტი სახელმწიფო გამომცემლობის საშუალებით სცემს წიგნს ნიკოლაძეზე, წიგნში მოთავსებული იქნება რეპროდუქციები მისი ქანდაკებათა და წერილები მის შემოქმედებაზე. წიგნის რედაქტორებათ არჩეულნი არიან: ი. გრიშაშვილი, ტიციან ტაბიძე და სანდრო ყანჩელი.

— **ახალი ყოველდღიური გაზეთი.** ხელოვნების მთავარ კომიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი. გაზეთში თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ცნობილნი ჟურნალისტები და მწერლები.

— **რუსთაველის თეატრი.** ხუთშაბათს ნოემბრის 16, ევროპაში მიმავალ სტუდენტთა ერთი ჯგუფის სასარგებლოდ გაიმართება დიდი სალამო მრავალფეროვანი პროგრამით და გან[illegible]ებით.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, ოთხშაბათს, 15 ნოემბერს საღამოს ორი ოპერა: „ჯამბაზები" მონ. ბოთკოვა, ავრანოვსკი, გორელოვი, და „ქეთო და კოტე" მონ. კალანდაძე, კავსაძე, ისეცკი და სხვა.

## საზღვარ-გარეთ

— **პარიზის რუსი ემიგრანტ ჟურნალისტების კავშირში.** რუსი ემიგრანტ მწერლების და ჟურნალისტების კავშირმა პარიზში, გამორიცხა კავშირიდან ბერლინის გაზეთ „ნაკანუნეს" თანამშრომლები და კერძოდ ა. ნ. ტოლსტოი, ა. ვეტლუგინი, (ბურცევის „ობშჩეე დელოს" თანამშრომელი) და ი. ვასილიევსკი (ნე ბუკვა). გამორიცხვის მოტივია—შეუთანხმებლობა მათი პოზიციის ემიგრანტულ სულთან და სრული განცალკევება კავშირის მიზნებისაგან. გამორიცხვის აქტს ხელს აწერს კავშირის თავმჯდომარე პ. ნ. მილიუკოვი.

— **კ. ბალმონტის მოთხრობები.** ბერლინში კ. ბალმონტი სცემს თავის დაუბეჭდავ მოთხრობებს, რომლების სტილი, ავტორის სიტყვით ძალიან მიაგავს ლესკოვის მანერას.

— **დ'ანუნციოს ახალი რომანი.** დ'ანუნციომ დაბეჭდა რომანი „ნოკტიურნ", რომელმაც იტალიაში ნაკლები შთაბეჭდილება დასტოვა.

— **ჰეინეს ლექსები.** ქალაქ ჩიკაგოს არქივებში აღმოაჩინეს ჰეინეს დაუბეჭდავი ლექსები.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 19

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. პროკურატურის შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება პროკურატურის შესახებ.

2. საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს 1921 წ. ივნისის 30 ს დამტკიცებული დებულების მუ. 48, 53, 57, 58, 61, 62, და 63 მუხლების შესაცვლელად, დებულების ხსენებული მუხლები შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 48. წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის ისეთი საქმისა, რომელიც უნდა გარჩეულ იქნეს სახალხო მოსამართლის მიერ 6 სახალხო მსაჯულის მონაწილეობით, ეკუთვნის სახალხო გამომძიებელს. სისხლის სამართლის სხვა საქმის გამო სახალხო სასამართლოზეა დამოკიდებული—დაჯერდეს საქმის ნაწარმოებ მოკვლევას (ძიებას), თუ გადასცეს საქმე სახალხო გამომძიებელს წინასწარი გამოძიებისათვის.

მუხ. 53. სახალხო გამომძიებელი წინასწარ გამოძიებას უნდა შეუდგეს: 1) მოქალაქის განცხადებით, 2) მილიციისა, თანამდებობის პირის და და წესებულების ცნობით, 3) პროკურორის ან მისი თანაშემწის წინადადებით, 4) სასამართლოს დადგენილებით და 5) თავის თაოსნობით.

მუხ. 57. გამომძიებლის დადგენილება სამართალში მიცემისა ან საქმის მოსპობის შესახებ უნდა დასაბუთებული იყოს. დასკვნითი დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ მთელი საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სათანადო პროკურორს ან მის თანაშემწეს.

მუხ. 58. თავისი დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სათანადო სახალხო სასამართლოს და ამასთანავე აცნობოს პროკურორს.

მუხ. 61. სასამართლოში ბრალმდებლობის გაწევა ევალება პროკურატურას, რომლის ორგანიზაციაც გათვალისწინებულია პროკურატურის დებულებაში.

მუხ. 62. საპროკურორო ზედამხედველობის პირი, როგორც ბრალმდებელი, მონაწილეობას იღებს სამსჯავრო (სასამართლო) სხდომაზე თავისი თაოსნობით ან სასამართლოს დადგენილებით.

მუხ. 63. უკეთუ საპროკურორო ზედამხედველობა საჭიროდ სცნობს საზოგადო ინტერესის დასაცავად ჩაერიოს ისეთ საქმეში, რომლის აღძვრა შეიძლება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ბრალმდებლობის გაწევა ამ შემთხვევაში შეუძლიან მხოლოდ პროკურატურას და საქმე ვერ მოისპობა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგებით.

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს ზომები, რათა პროკურატურა შემოღებული იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკაში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წ. ნოემბრის 15 დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. კალანდაძე

1922 წ. ნოემბრის 11.

ტფილისი—სასახლე.

# მუშათა ცხოვრება

## ფურნეებში მომუშავენი

ფურნეებში მომუშავეები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან განვითარების მხრივ. შრომის დაცვის კანონები მათზე ძლიერ ნაკლებათ ვრცელდება. მოსამსახურეებს წარმოდგენაც კი არა აქვთ შრომის კანონებზე.

ამ მხრივ მათი ბედი ხაზეინების ნება სურვილზეა დამოკიდებული, ხაზეინების თვალების ბრიალი და მუქარა დათხოვის შესახებ საკმაოა, რომ უსიტყვოთ დაემორჩილონ მათ. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ შრომის დაცვის კანონების დარღვევაში თვით მოსამსახურე უწევს ხაზეინებს დახმარებას. ასეთი გარემოება დამოკიდებულია იმაზე, რომ მათში ვერ არის კარგად დაყენებული კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. კავშირის მუშაობა ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებს. საჭიროა მეტი ყურადღება ამ საქმისადმი. იმედია კავშირი თავს დაადწევს უმოქმედობას და მომავალში მაინც მეტ აქტივობას გამოიჩენს ფურნეებში მომუშავეთა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საქმეში.

ახალი.

## საგულისხმიერო სტუმრობა.

ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე თუთუნის ფაბრიკების „პროლეტარის" და „როზა ლიუქსემბურგის" მუშებს ეწვიენ წითელ არმიელები. ამ სტუმრობას ქონდა მეტად გულთბილი და მხურვალე ხასიათი. მუშები დიდი აღფრთოვანებით და ალტაცებით დაუხვდნენ ოქტომბრის რევოლიუციის გმირ მებრძოლებს, წითელ არმიელებს. წარმოითქვა სტუმარ-მასპინძლებისაგან სიტყვები, აღინიშნა ოქტომბრის რევოლიუციაში წითელ არმიელთა დიდი დამსახურება. საჭიროა ასეთი სტუმრობა ხშირ ხშირათ გაიმართოს, რათა მუშათა ოჯახიდანვე გამოსულ წითელ არმიელებმა იცოდენ თუ არა სიყვარული და პატივისცემაა მუშათა კლასის გულში მათდამი. ასეთი მტკიცე კავშირი მუშებსა და წითელ არმიელებს შორის საქმისათვის დიდათ საჭირო და სასარგებლოა.

მუში.

## მეტყავეებში.

მეტყავე მუშებს შორის ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებს. ამის წყალობით ზოგიერთი ქარხანა-სახელოსნოს მუშები შეგნების მხრივ სათანადო სიმაღლეზე სდგანან. ისინი ერკვევიან თანამედროვე მდგომარეობაში და თავის აზრი გამოაქვთ ამა თუ იმ საკითხზე. ამას წინათ შეიკრიბენ ცენტრო კავშირის ძაგრის სახელოსნოს მუშები და იმსჯელეს [illegible] რომის კაპიტალისტების ლოკაუტზე ტყავის წარმოების მუშების მიმართ. დაადგინეს სალამი გაუგზავნონ ამხანაგებს ძმებს, გაუგზავნონ აგრეთვე ერთი დღის შრომის ხელფასი და იმუშაონ მათ სასარგებლოთ კვირა დღეს. სასურველია, სხვა სახელოსნოების და ქარხნების მუშებიც მიბაძავენ მათ.

მეტყავე.

## თბილისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამ დაწესებულებაში მყოფნი მუშა-მოსამსახურენი ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფებიან. მათი ჯამაგირი ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ დაბალ კატეგორიაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ბედი პირდაპირ წარმოუდგენელია. მათ ისე მცირე აქვთ ჯამაგირი, რომ პურის ფასსაც კი არ ეყოფათ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში ვითომც გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა იმ მხრივ, რომ პურის რაციონი ორი გირვანქის ნაცვლად ორ გირვანქა ნახევარი გაუხადეს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მომატებას არ მომატება სჯობდა. ისეთ პურს აძლევენ მუშა-მოსამსახურეებს, რომ ნაგავი უფრო მეტი პროცენტია შიგ, ვიდრე პური. ამ გარემოებით მუშა-მოსამსახურენი საშინელი უკმაყოფილონი არიან. მათ მდგომარეობას უფრო აორკეცებს შეშის საკითხის მოუწესრიგებლობაც. დღემდის დაპირებებით კვებავდენ, აი დღეს მოგცემთ და აი ხვალო, მაგრამ ეხლა კი უარით უპასუხეს. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც ძლიერ მოიკოჭლებს.

პ. ხ.

## თუთუნის ფაბრიკა „მირი"

ამ ფაბრიკაში მუშაობს 74 მუშა. მათში უმრავლესობა ქალებია. მუშებს [illegible] შორის ადმინისტრაციასთან დიდი სოლიდარობა აქვთ. ადმინისტრაციასთან სოლიდარობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ფაბრიკის დირექტორათ არის ამ საქმის ძველი სპეცი, რომელსაც მუშები დიდათ აფასებენ. ეს დირექტორი ყოველ ღონისძიებას ხმარობს ფაბრიკის საქმეების გასაუმჯობესებლათ. ამ ჟამად საქმეს აფერხებს ნედლი მასალის სიმცირე. თუთუნის ტრესტი ფაბრიკას დროზე ვერ აწვდის ასეთ მასალას. რომ ეს დაბრკოლება არ იყვეს, ფაბრიკა ერთი ორად მეტ პაპიროსს დაამზადებდა.

შრომის კანონები ფაბრიკაში თითქმის სავსებით ტარდება. კულტურული მუშაობა მუშებს შორის საკმაო ინტენსივობით სწარმოებს. ფაბრიკის მუშები გაზეთს რეგულიარულათ და თავის დროზე იღებენ. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაც წარმატებით მიმდინარეობს. პირველ საფეხურის სკოლაში 6 მუშა სწავლობს. მალე გაიხსნება მეორე საფეხურის სკოლა. მუშების დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი საუცხოვოა.

მუშების მატერიალური მდგომარეობაც ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გაუმჯობესდა. დაიდვა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით შრომის ხელფასი წინანდელთან შედარებით 40 პროცენტით იქნა გადიდებული. აღსანიშნავია, რომ მუშები შრომის ხელფასს ყოველთვის თავის დროზე იღებენ.

არსებობს კომიაჩეიკაც. მასში 13 ამხანაგი ითვლება. ეწევიან ენერგიულ მუშაობას.

პ. ფ.

## შრომის ფრონტის გმირები

თბილისის დეპოს „კომსომოლისტებმა" შრომის ფრონტზე იშვიათი გმირობა გამოიჩინეს, ორი ორთქლმავალი ენერგიული მუშაობით შეაკეთეს და საბჭოთა ხელისუფლებას საჩუქრათ მიართვეს. ეს საქმე თავს იდვა 15 „კომსომოლისტმა" და არავის არ სჯეროდა, თუ ისინი ამ საქმეს შეასრულებდნენ. გამოიჩინეს საარაკო ენერგია, იმუშავეს ზედმეტ საათებში, გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება და ბრწყინვალეთაც გაიმარჯვეს. დანიშნულ დროს ორივე ორთქლმავალი „კამოსა" და „ლენინის" სახელწოდებით მზათ იყო. ეს შრომის ფრონტის რაინდი „კომსომოლისტები" უეჭველად წითელ დაფაზე უნდა იქნან აღნიშნულნი.

დეპოელი.

## ერთი მრავალთაგანი

სახლის მეპატრონეთა თავგასულობა ცნობილია და მას არც საზღვარი აქვს. ამ ბატონებს თავისი გაუმაძღარი მადა სხვა და სხვა ფორმით და ხრიკებით გადააქვთ საბჭოთა მდგმურებზე. ასეთია არცრუნის ქუჩაზე № 11 სახლის მეპატრონე ანტონ გალდავაძე. ამ „დიდ კაცს" აქვს მადა, ერთი რამ მდგომარეობიდან რაც შეიძლება მეტი აილოს და შეარჩეთ მეტი თავისუფალი ოთახი თვით დაიკავოს. ამ მიზნით ხან ერთ მდგმურს უმართავს სკანდალს და ხან მეორეს. მდგმურებისადმი იჩენენ უზრდელობას მისი ოჯახის წევრები, იგინებიან, და ილანძღებიან დაუსრულებლათ. ასეთ უზრდელობაში ნამეტურ დიდ სიყოჩაღეს იჩენენ მისი ქალიშვილები, ურჩევთ ამ ბატონებს ჩადგენ თავიანთ ქერქსა და კანში, უკლონ უზრდელობასა და თავგასულობას.

იქ მცხოვრებთაგანი.

## დებულება

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა პროკურატურის შესახებ.**

კანონიერებისათვის ზედამხედველობის განსახორციელებლად და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატში დაწესებულ იქნეს სახელმწიფო პროკურატურა.

2. პროკურატურას ევალება:

ა) სახელმწიფო სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციის და კერძო პირის მოქმედების კანონიერების საქმეში; ეს განხორციელება ზედამხედველობისა უნდა ხდებოდეს დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრით და პროტესტის შეტანით იმ დადგენილების გამო, რომელიც დაარღვევს კანონს;

ბ) უშუალო მეთვალყურეობა ყველა საგამომძიებლო და მომკვლევი ორგანოსი და აგრეთვე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედებისა; ამასთანავე საგანგებო კომისიის ორგანოთა მოქმედების მეთვალყურეობას ახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი უშუალოდ თითონ ან მის მიერ განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილი საპროკურორო ზედამხედველობის პირი;

გ) ბრალმდებლობის გაწევა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში;

დ) მეთვალყურეობა პატიმრობის წესიერებისათვის.

3. პროკურატურის სათავეში, გეთარცა რესპუბლიკის პროკურორი, სდგას იუსტიციის სახალხო კომისარი. რესპუბლიკის პროკურორის უშუალო გამგებლობაში იმყოფება იუსტიციის სახალხო კომისარიატში არსებული საპროკურატურო განყოფილება.

4. რესპუბლიკის პროკურორთან არიან მისი თანაშემწენი: მათი რიცხვი განისაზღვრება შტატით. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით, ამტკიცებს და უკან გაიწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. რესპუბლიკის პროკურორი, თავის თანამდებობისამებრ, შედის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით, უკეთუ მას ამორჩევით უკვე არა აქვს გადამწყვეტი ხმა მინიჭებული.

6. რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებიან: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, დასავლეთ საქართველოს პროკურორი, რევოლიუციონური ტრიბუნალების პროკურორი, აჭარის პროკურორი და სამხრეთ ოსეთის პროკურორი, რომელთაც დანიშნავს და უკან გაიწვევს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორი.

7. პროკურორებთან არიან პროკურორის თანაშემწენი, რომელთაც დანიშნავს ერთი ადგილიდან მეორეზედ გადაიყვანს და უკან გაიწვევს, სათანადო პროკურორის წარდგენით, რესპუბლიკის პროკურორი. პროკურორის თანაშემწეთა რიცხვი განისაზღვრება შტატით.

8. იმ მოვალეობის აღსრულებას, რომელიც პროკურატურას აქვს დაკისრებული, ამა დებულების მე-6 მუხლში აღნიშნული პროკურორები, ყველა თავის კომპეტენციის ფარგლებში განაწილებენ თავის თანაშემწეთა შორის.

9. რესპუბლიკის პროკურორის დავალება:

ა) თვალყური ადევნოს ყველა სახ. კომისარიატის და სხვა ცენტრალური დაწესებულების და ორგანიზაციის მოქმედების კანონიერობას და წინადადება აძლიოს ამათ გააუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ გამოცემული განკარგულება და დადგენილება, რომელიც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ზემოაღნიშნულ განკარგულებისა და დადგენილების გასაუქმებლად; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა პროტესტქმნილი დადგენილების ან გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას ვერ შეაჩერებს;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს და თვალყური ადევნოს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეთ, აგრეთვე პროკურორთა და მათ ადგილობრივად მყოფ თანაშემწეთა მოქმედებას და განუმარტოს და აუხსნას ყველა ის საკითხები, რაც მათ მუშაობის დროს აღიძვრება;

დ) პირადად თითონ განახორციელოს პროკურორისა და მისი თანაშემწის ფუნქციები იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს.

10. რესპუბლიკის პროკურორი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ყოველ წლიურად წარუდგენს, როგორც თავის, ისე მის ხელქვეითი პროკურორის მოქმედების ანგარიშს.

11. ადგილობრივად მყოფი პროკურორის მოვალეობას შეადგენს:

ა) თვალყური ადევნოს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების კანონიერებას და განმარტება მისცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და სხვა მათთან თანასწორ უფლებებით აღჭურვილ ადმინისტრატიულ ორგანოთ, რათა გააუქმონ ან შესცვალონ მათ მიერ, აგრეთვე მათ ხელქვეითი ორგანოების მიერ გამოცემული ის განკარგულება და დადგენილება, რომელიც კანონს არ ეთანხმება;

ბ) პროტესტი შეიტანოს რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით ზემოდ აღნიშნული განკარგულებისა და

დადგენილების გამო სახალხო კომისართა საბჭოსა ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში; პროკურორის მიერ პროტესტის შეტანა პროტესტ-ქმნილი დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ვერ შეაჩერებს.

12. პროკურორს ან მის თანაშემწეს შეუძლიან სათათბირო ხმით დაესწროს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სხდომას.

13. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში პროკურატურას დაევალება:

ა) აღძვრა სამართლით დევნისა თანამდებობის და კერძო პირის წინააღმდეგ, როგორც თავისი თაოსნობით, ისე შესული საჩივრისა და განცხადების გამო;

ბ) ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისა, განმარტება და წინადადების მიცემა მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოთათვის ისეთ საკითხების გამო, რომელიც შეეხება მოკვლევის და წინასწარი გამოძიების წარმართვასა და შევსებას, აღმკვეც ზომას და აგრეთვე სხვა საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს წინასწარ გამოძიებასთან;

გ) სამართალში მიცემის, საქმის მოსპობის ან მისი წინასწარ გამოსაძიებლად გადაცემის საკითხის გადაწყვეტა იმ საქმის გამო, რომელიც მოკვლევის ორგანოსაგან იქნება მიღებული. პროკურატურის წინადადება ამ კატეგორიის საქმის გამო სასამართლოში მიცემის შესახებ პირდაპირ სასამართლოს გადაეცემა;

დ) დამტკიცება საბრალდებულო დასკვნისა ყველა წინასწარ გამოძიებული საქმის გამო, შედგენა საბრალდებულო დასკვნისა სამართალში მიცემის შესახებ ან დადგენილებისა საქმის მოსპობის შესახებ მოკვლევი ორგანოსაგან შემოსული საქმის გამო, და გადაცემა სასამართლოს განწესრიგებელ სხდომისათვის საბოლოო გადასაწყვეტად გამომძიებლის ისეთი დასკვნითი დადგენილებისა, რომელსაც არ დაეთანხმება;

ე) მონაწილეობა სასამართლოს განწესრიგებელ სხდომაში სამართალში მიცემის ან საქმის მოსპობის საკითხის განხილვის დროს, უკეთუ პროკურატურა თავის მონაწილეობას სხდომაში საჭიროდ მიიჩნევს;

ვ) ბრალმდებლობის გაწევა სასამართლოში და საკასაციო პროტესტის დაცვა, სახალხო მოსამართლეთა საბჭოსა ან უზენაეს რევოლუციონურ ტრიბუნალში;

ზ) საკასაციო წესით პროტესტის შეტანა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისა და დადგენილების გამო, აგრეთვე უმაღლეს სასამართლო კონტროლის წესით პროტესტის განცხადება კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამო და საკასაციო გადაწყვეტილების გამო;

კ) შემოწმება პატიმრობის წესიერების თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილას, — გამოუკლებლივ, და განთავისუფლება იმ პირისა, რომელიც არ არის წესიერად დაპატიმრებული.

14. პროკურორი იმ უფლებას, რომლითაც იგი აღჭურვილია, ანხორციელებს, როგორც პირადად თვითონ, ისე თავის თანაშემწეთა მეშვეობითაც.

15. პროკურორს უფლება აქვს მოსთხოვოს მის ტერიტორიალურ კომპეტენციის ფარგლებში მომქმედ ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებას და თანამდებობის პირს მისთვის საჭირო ცნობები და მასალა; ამ მოთხოვნის ასრულება დასახელებულ დაწესებულებათა და პირთათვის სავალდებულოა.

**შენიშვნა:** საგანგებო კომისიის ორგანოებს, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამა თუ იმ საქმეს განსაკუთრებულად საიდუმლო ხასიათის საქმედ სცნობენ, უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ ამ საქმის გაცნობა იკისროს რესპუბლიკის პროკურორმა თვითონ უშუალოდ ან მის მიერ განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილმა პირმა.

16. პროკურორი ყოველ სამ თვეში ერთხელ თავის და თავის თანაშემწეთა მოქმედების ანგარიშს უდგენს რესპუბლიკის პროკურორს.

17. ამ დებულების გამოცემისთანავე ყველა ის მოვალეობა, რაც დღემდე დაკისრებული ჰქონდათ იუსტიციის განყოფილებათ და რაც ამ დებულებით ევალებათ პროკურატურის ორგანოებს, გადადის მარტოოდენ ამ უკანასკნელთა გამგებლობაში.

17. დებულება ესე ძალაში შედის 1922 წ. ნოემბრის 15 დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**.

1922 წ. ნოემბრის 11.

ტფილისი-სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პ ა რ ტ ი უ ლ ი

— 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში, (პლეხ. პროსპ.) მოხდება საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების მიერ მოწყობილ მეორე რაიონის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისათვის პროფესიონალურ მუშაკების მოსამზადებელ მოკლე ვადიან კურსების გახსნა.

**მოხსენებები**

1. კურსების როლი და მნიშვნელობა—ამხ. ყურულაშვილი.

2 მუშათა მოძრაობის მოკლე მიმოხილვა რუსეთში და კავკასიაში— ამხ. გინსბურგი.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მობილიზაცია მოხთენილ წევრების და კავშირების კულტურულ განყოფილებათა გამგეების დასწრება სავალდებულოა. თხოვნა ნუ დაიგვიანებენ.

— საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის წევრთ და კანდიდატთ, რომელთაც უმუშავნიათ ან ეხლა მუშაობენ ტელეგრაფის, — ტელეფონ—რადიოს უწყების რომელიმე დარგში გატარდნენ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების რეგისტრაციაში.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუხაძე**.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

### ერთ საღამოს ორი ოპერა
დღეს, 15 ნოემბერს

# ჯ ა მ ბ ა ზ ე ბ ი
და
# მეთო და კოტე

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს

# ლ ა კ მ ე

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 567—1—1)

## რუსთაველის თეატრი

შაბათს, 18 ნოემბერს

# ვიდრე ხვალ

დადგმა ა. ფალავანდ.

კვირას 19 ნოემბერს

# ა ლ ლ უ მ ი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 578—4—1)

## 15 ნოემბრიდან იწყებს გამოსვლას

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი

# მ უ შ ა

გაზეთი „მუშა" ისახავს მიზნათ

**უბრალო გასაგები ენით გააცნოს ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს დღევანდელი ცხოვრების ვითარება**

გაუშუქოს მას სწორი გზა, გააცნოს მას მტერი და მოყვარე.

**თვით მუშებისავე შემწეობით ყოველ მხრივ გაარკვიოს მუშათა ცხოვრება, ყური დაუგდოს მის გასაჭირს და გამოსძებნოს მის სატკივარის გამოსამრთელებელი საშუალება.**

არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა, არც ერთი ხახელოსნო, სადაც მუშის მარჯვენა ტრიალებს და ქმნის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო და სასარგებლო ნაშრომს არ დარჩება გაზეთ „მუშის" ყურადღების გარეშე.

## ამხანაგებო მუშებო!

გაზეთი „მუშა" თქვენი გაზეთია, თვითეული თქვენთაგანი უნდა გახდეს ამ გაზეთის თანამშრომელი და გამავრცელებელი.

**გვწერეთ თქვენი** ყოფა ცხოვრების შესახებ.

დაურიდებლათ გაამათრახეთ ვინც ხელს გვიშლის საერთო მუშაობაში, ვინც მტრულად და ორგულად ეკიდება საქმეს.

ამ რაინდებს დღის სინათლეზე გამოსვლა ღვთის რისხვასავით ეშინიათ, გაზეთის ფურცლებზედ მათი გამომჟღავნება ხელს შეუშლის მათ ბოროტ განზრახვას, ფრთას მოსტეხს მათ დამღუპველ საქმიანობას.

## გაავრცელეთ ამხანაგებო ეს გაზეთი

ხელის მოწერა წინასწარვე შეიძლება შემდეგი მისამართით:

**რუსთაველის პროსპ. № 24.**

საგაზეთო ტრესტის კანტორაში.

**გაზეთი ღირს:** ერთი თვით თბილისში შინ მიტანით და პროვინციაში ფოსტით გაგზავნით **75 ათასი მანეთი.**

ცალკე ნომერი ყველგან **5 ათასი მანეთი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი: პავლე მ. საყვარელიძე.

(კრ. 546 6—3)

თბილისის მაზრის კომიტეტი საქართველოს კომუნისტურ პარტიისა აცნობებს ყველა ამხანაგებს, უდროოდ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თბილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციის წევრის და საგარეჯოს თემკომის წევრის და იმავე თემის აღმასკომის თავმჯდომარის

### ამხ. გრიშა კანდელაკის

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ტფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 12 ნოემბერს საღამოს 9 საათზე მოკლე მოულოდნელი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი, საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

### გრიგორი კანდელაკი.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(530—1—1)

მეუღლე მარიამი, დედა კესარია, დები ოლღა და მარიამ ცქიტიშვილები, სიდედრი მინადორე, ცოლის ძმები: გიორგი, ივანე, სიმონი და გრიშა ხუნდაძეები, რძლები რაისა, აგრაფინა და ანიკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ქმრის, მეორესი შვილის მესამეთა ძმის, და მეოთხეთა სიძის

### აბესალომ ცქიტიშვილის

გარდაცვალებას,

(531—1—1)

**დაიკარგა** მასწავლებლობის მოწმობები, გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულათ, ნ. ქობულაშვილისა.

(528—1—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

### მიხეილ გედევანიშვილისა

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—23)

## ს ა კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ო

სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:

მედიცინის დოქტორის

**ვ. ვ. შენგელიძის** და ექიმი ქალის **გ. დ. ხანცინის**

ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დ... ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღ... 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14.

(517—25—3)

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა—სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტ. სტუდენტის გრიგოლ სამსონის ძე დოლიძის სახელზედ გაცემული. გაბათილებულად ჩაითვალოს.

№ 532—1—1

მუშათა

# კოოპერატივების

# ყრილობა

23 ნოემბრისთვის მოწვეულია საქართველოს მუშათა კოოპერატივების

## მეორე კონფერენცია

### დღიური წესრიგი:

1) საქართველოს მუშკოპის ცენტრის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ,

2) კოოპერაციის აღმშენებლობითი მირითადი დებულებანი.

3) მუშათა კოოპერატივების საორგანიზაციო აღმშენებლობა.

4) მუშკოპების სამეურნეო-საფინანსო მიზნები.

წარმომადგენელთა რიცხვის განსაზღვრა შემდეგია: 1 დელეგატი—1000 წევრზე.

ის კოოპერატივები, სადაც წევრთა რიცხვი არ აღემატება 1000 წევრს, გზავნიან მხოლოდ 1 დელეგატს.

დელეგატები უნდა იყვნენ ამორჩეული გამგეობის და სარევიზიო კომისიის საერთო სხდომაზედ, —სადაც კი იქნება შეძლება—შეიძლება იყვნენ არჩეული რწმუნებულთა ყრილობაზე.

ყველა მუშკოპთან უნდა იყოს დელეგატთა შორის—აგრეთვე გამგეობის წარმომადგენელი. ჩამოსული დელეგატები უნდა გამოცხადდნენ თავიანთი მანდატებით ზაქცერაბსექციაში კირკის ქუჩა № 7 (მეორე სართული).

კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო.

(კრ. 570—1—1)

## იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა

ყოველ წლიური სარჩევი 1923 წლისათვის

# „მთელი ამიერ-კავკასია"

სარჩევში მოთავსებული იქნება საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და აჭარის რესპუბლიკების ეკონომიური, ადმინისტრატიული, საზოგადოებრივი სავაჭრო და სასოფლო სამეურნეო ხასიათის დაწვრილებითი ცნობები. ყველა დაწესებულებები, წარმოებები როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო, ექიმები, ინჟინრები და ყველა საზოგადო მოღვაწეები მოვალენი არიან დაუყონებლივ მიაწოდონ სარჩევის რედაქციას დაწვრილებით ცნობები თავიანთ ორგანიზაციების შესახებ (დაწესებულებათა დასახელება, მისამართი, ტელეფონი, პასუხისმგებელ ხელმძღვანელების გვარები და სხვა.)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

„მთელი ამიერ-კავკასია" იბეჭდება საზ.-გარეთის გამოცემათა მსგავსად, კარგი ხარისხის ქაღალდზე და კალენკორის ყდით.

გამოცემის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 138 ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება („ზაკტპო") მესამე სართული.

(3—3)